თბილისის არქიტექტურა

ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №5794492

ნომერი: AR1875530

თარიღი : 01.02.2022

გაცემის თარიღი : 07.02.2022

გაცნობის თარიღი : 08.02.2022

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ნოდარ ბოხუას ქუჩა N10;

დამკვეთი-განმცხადებელი

- პაატა სვანიძე პ/ნ 01003021229
- მარშალ გელოვანის გამზირი4ა. ბინა22.

ნომენკლატურა :

- სამართლებრივი საკითხები
- ტექნიკური ხარვეზის გასწორება ადმინისტრაციულ - სამართლებრივ აქტში

ვბრძანებ

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2021 წლის 07 დეკემბრის №5704908 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორების თაობაზე
ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს 2022 წლის 01 თებერვალს №AR1875530 განცხადებით მომართა პაატა სვანიძემ და მოითხოვა ამავე სამსახურის 2021 წლის 07

დეკემბრის №5704908 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორება.
სამსახურმა, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96-ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად, შეისწავლა საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 27 აპრილის №138 განკარგულებით დამტკიცდა ქალაქ თბილისში, ჩაჩავას ქუჩა №2-4-6-8-10-ში არსებულ მიწის ნაკვეთზე, მრავალფუნქციური კომპლექსის (მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლები, სავაჭრო-საყოფაცხოვრებო, საოფისე და სხვა) განაშენიანების რეგულირების გეგმის შეთანხმების შესახებ ქალაქ თბილისის მერიის ურბანული დაგეგმარების საქალაქო სამსახურის 2007 წლის 21 დეკემბრის N03/1539 ბრძანებით დამტკიცებული განაშენიანების რეგულირების გეგმის კორექტირებული პროექტი.
ზემოაღნიშნული განაშენიანების რეგულირების გეგმის საფუძველზე ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2021 წლის 07 დეკემბრის №5704908 ბრძანებით შეთანხმდა №01.13.02.005.006 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთზე მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის (ბლოკი „დ“) კორექტირებული არქიტექტურული პროექტი და გაიცა მშენებლობის ნებართვა. მშენებლობის ვადა განისაზღვრა 2021 წლის 7 დეკემბრიდან 2025 წლის 7 იანვრის ჩათვლით.
განმცხადებლის განმარტებით, სამსახურის 2021 წლის 07 დეკემბრის №5704908 ბრძანებით შეთანხმებულ გენ-გეგმაზე დაშვებულია ტექნიკური შეცდომა. კერძოდ, არასწორად არის მითითებული არსებული შენობების დასახელებები (ბლოკი „ა“ და ბლოკი „დ“-ს ნაცვლად მითითებულია ბლოკი „ბ“ და ბლოკი „გ“). შესაბამისად, ითხოვს აღნიშნული ტექნიკური შეცდომის გასწორებას.
სამსახურმა განმცხადებლის მიერ წარმოდგენილი გენ-გეგმა შეადარა ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 27 აპრილის №138 განკარგულებით დამტკიცებულ განაშენიანების რეგულირების გეგმას და დაადგინა, რომ საპროექტო დოკუმენტაციაში (გენ-გეგმაზე) არასწორად იქნა დატანილი არსებული შენობების დასახელებები. კერძოდ, ბლოკი „ბ“ და ბლოკი „გ“-ს ნაცვლად უნდა დაფიქსირებულიყო ბლოკი „ა“ და ბლოკი „დ“. ამასთან, გენ-გეგმაზე ზუსტდება მხოლოდ არსებული შენობების დასახელებები, დანარჩენ ნაწილში რჩება უცვლელი.
საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59–ე მუხლის თანახმად, ადმინისტრაციული ორგანო უფლებამოსილია მის მიერ გამოცემულ ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტში გაასწოროს ტექნიკური, აგრეთვე გამოთვლის დროს დაშვებული შეცდომები.
შესაბამისად, სამსახურმა მიზანშეწონილად ჩათვალა დააკმაყოფილოს განმცხადებლის მოთხოვნა და გაასწოროს ტექნიკური შეცდომა მის მიერ გამოცემულ ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ–სამართლებრივ აქტში.
ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59–ე მუხლის თანახმად,

ვბრძანებ:
1. გასწორდეს ტექნიკური შეცდომა ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2021 წლის 07 დეკემბრის №5704908 ბრძანებაში და აღნიშნული ბრძანებით შეთანხმებული გენ-გეგმა ჩანაცვლდეს წინამდებარე განცხადებაზე, ფაილის მიმაგრების ველში წარმოდგენილი გასწორებული გენ-გეგმით.
2. ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2021 წლის 07 დეკემბრის №5704908 ბრძანება დანარჩენ ნაწილში დარჩეს უცვლელი.
3. წინამდებარე ბრძანება განხილული იქნას ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2021 წლის 07 დეკემბრის №5704908 ბრძანებასთან ერთად.
4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა №7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, აქტის ოფიციალური წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.